მიღება–ჩაბარების აქტი

ჩოხატაური

09 ივლისი 2019 წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთი მხრივ, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის (საინ კოდი 242008705) მერიის მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსი ვლადიმერ გოგიბერიძე და ამავე სამსახურის სპეციალისტი ვასილ ბერუჩაშვილი (ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 26 მარტის N464 ბრძნება) და მეორე მხრივ, ი.მ „ირაკლი ზურაბიანი“ საინ. კოდი 62001024286 ვადასტურებთ, რომ მხარეებს შორის 2019 წლის 05 ივლისს გაფორმებული №152 ხელშეკრულებით (საქონლის შესყიდვის შესახებ) გათვალისწინებული ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის, სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურისათვის 2 ერთეული სავარძლის c222c შეძენა) მიღებულია ღირებულებით 440 (ოთხასორმოცი) ლარი.

აქტის სიწორეს ვადასტურებთ ხელმოწერით:

ჩავიბარე:

მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსი: *ვლადიმერ გოგიბერიძე*

მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის სპეციალისტი: *ვასილ ბერუჩაშვილი*

ჩავაბარე:

ი.მ „ირაკლი ზურაბიანი“

Chokhatauri municipality

Digitally signed by Chokhatauri municipality
Date: 2019.07.11 11:16:02 +04'00'

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერია
გასავლის ზედდებული №

05 ივლისი 2019წ

გაცემულია არქიტექტურის, სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური -უფროსი გოგი გოლქვაძე
(სახელი, გვერი,სამსახურის დასახელება)

ვისი მეშვეობით მთავარი სპეციალისტი სახელმწიფო შესყიდვების საკითხებში - ვასილ ბერუჩაშვილი
(სახელი, გვერი,სამსახურის დასახელება)

№	მატერიალური მარაგის დასახელება	განზომილება	რაოდენობა	ფასი	თანხა
1	სავარძელი c222c	ცალი	2	220	440
					440

გაეცა: _____ მიიღო: _____

შეთანხმებულია მუნიციპალური შესყიდვებისა სამსახურის უფროსი: **ვლ. გოგიბერიძე**

ხელშეკრულება №152

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ჩოხატაური

05 ივლისი 2019 წელი

ერთი მხრივ, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი (შემდგომში „შემსყიდველი") წარმოდგენილი მერის ირაკლი კუჭავას სახით და მეორე მხრივ, ი.მ. „ირაკლი ზურაბიანი"-ს (საინ.კოდ 62001024286), (შემდგომში „მიმწოდებელი")სახელმწიფო შესყიდვების კანონის, სახ. შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება N13-ის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად დებენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

დაფინანსების წყარო: ადგილობრივი ბიუჯეტი

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის,
1.3. „დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.
1.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.5. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურება მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.
1.6. „საქონელი" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. შესყიდვის ობიექტი: — ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის, სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურისათვი 2 ერთეული სავარძელი c222c, ღირებულებით - 220 X2=440 ლარი შეძენა.

(CPV – 39113100, 39100000)

3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 440 (ოთხასორმოცი) ლარი.
3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში.
4.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების შემდეგ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი საფინანსო დოკუმენტების (საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა ან/და ინვოისი ან/და ზედნადები) საფუძველზე.

4.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

5. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 საქონელი ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
5.2. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს შემსყიდველი ორგანიზაციის ხელმძღვანელის ბრძანებით შესაბამისი სამსახური.

6. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

6.1 საქონლის მიწოდება განხორციელდებ: ჩოხატაური, წერეთლის ქ. N2.
6.2. საქონლის მიწოდება განხორციელდება 2019 წლის 05 ივლისიდან `2019 წლის 05 აგვისტოს ჩათვლით მოთხოვნის შესაბამისად.

7. მხარეთა უფლება–მოვალეობები

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.
7.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

8.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი (ინსპექტირება), რომლის მიზანია საქონლის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.
8.2. ხელშეკრულების 8.1 პუნქტით გათვალისწინებულ კონტროლს (ინსპექტირებას) შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაციის ხელმძღვანელის ბრძანებით შესაბამისი სამსახური.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.2%-ის ოდენობით.
9.2. შემსყიდველი ორგანიზაცია უფლემოსილია ხელშეკრულების ვადის გასვლის პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.
9.3. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების ნაკისრი ვალდებულების არაჯეროვნად შესრულების გამო შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ფასის 5%-ის ოდენობით.
9.4 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

10.4 მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 10.3 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ

10.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების შესრულებისა და მოქმედების ვადები

12.1 ხელშეკრულების შესრულების ვადაა 2019 წლის 05 ივლისიდან 2019 წლის 05 აგვისტოს ჩათვლით.

12.2 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2019 წლის 05 ივლისიდან 2019 წლის 05 სექტემბრის ჩათვლით.

მხარეთა რეკვიზიტები:

„შემსყიდველი" ---------- ი. კუჭავა

ხიხატაურის მუნიციპალიტეტი
საიდ/კოდი 242008705
სახელმწიფო ხაზინა

Chokhatauri municipality
Digitally signed by Chokhatauri municipali
Date: 2019.07.05 15:32:
+04'00'

„მიმწოდებელი" ---------- ი. ზურაბიანი

ი.მ. „ირაკლი ზურაბიანი"
საიდ/კოდ 62001024286
ს.ს ლიბერთი ბანკი
საიდ. კოდი TBCBGE22
ანგ. N GE04TB7167636010100031

ხელწერილი

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობისშესახებ

ჩოხატაური

05 ივლისი 2019 წელი

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერი - ირაკლი კუჭავა ვადასტურებ, რომ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტსა და ი.მ. „ირაკლი ზურაბიანი"-ს (ს.კ.62001024286) შორის 2019 წლის 05 ივლისს გაფორმებული N152 ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის გამარტივებულ შესყიდვაში (დაფინანსების წყარო - ადგილობრივი ბიუჯეტი) ჩემი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება საქართველოს 2005 წლის 20 აპრილის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8-ე მუხლის მე-2-ე პუნქტის მოთხოვნას და ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფები.

მუნიციპალიტეტის მერი: ირაკლი კუჭავა